

ლია ქაროსანიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
თბილისი

L.karosanidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინთბანკი, ტერმინოლოგიური პოლიტიკა,
სტანდარტიზაცია, ნორმალიზაცია.

ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში¹

ისტორია ცხადყოფს ერთ კანონზომიერებას: ეროვნული დარგობრივი ტერმინოლოგია ენის განვითარების საფუძველია, განტერმინება-გატერმინების პროცესი, ანუ სალიტერატურო ენისა და ტერმინოლოგიის ურთიერთკავშირი, ენის მომავლის განმსაზღვრელია². განტერმინება-გატერმინების კანონზომიერება გამოკვეთს ტერმინოლოგიის უდიდეს როლს ენის ჩამოყალიბებაში, ტერმინოლოგიის განვითარება, ტერმინოლოგიური პოლიტიკის დაგეგმვა ყველა დროსა და ქვეყანაში სახელმწიფო მდგომარეობასთანაა დაკავშირებული.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ შეთანხმებული, სწორად წარმართული მუშაობისას გამოკვეთილია ტერმინოლოგიაზე პასუხისმგებელი პირები, საზოგადოება ან ინსტიტუტი. შედეგი კი ასეთია: იქმნება ტერმინები, მკვიდრდება ენაში, სამეცნიერო ენა იყენებს ტერმინოლოგიას; იქმნება დარგობრივი ტერმინოლოგია.

¹ სტატიაში დასმულ საკითხებს რამდენიმე წლის განმავლობაში ვსწავლობდით და ჩვენს დასკვნებს, შეხედულებებს დროდადრო ვაცნობდით საზოგადოებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებებით (ქაროსანიძე 2018-2022).

² „დარგობრივ და საერთო მოხმარების ენებს შორის მუდმივი ურთიერთ-ზემოქმედებაა. გვაქვს ლექსიკური მასალის მუდმივი გადადინება ორივე მიმართულებით:

- განტერმინება: დარგის ტერმინები გადადის საერთო მოხმარების ენაში, როგორც საყოველთაოდ ცნობილი სალექსიკონო ერთეულები;
- გატერმინება: ლექსიკური ერთეული გადაიქცევა ტერმინად“ (სახელმძღვანელო, 2005:31).

ხოლო ქვეყანაში, სადაც შეუთანხმებელი ტერმინოლოგიური მუშაობაა, არ არსებობს ტერმინოლოგიაზე პასუხისმგებელი პირები, საზოგადოება ან ინსტიტუცია; იწყება პარალელური მუშაობა, იქმნება ლექსიკონები, რომელთა მასალა ენაში ვერ/არ მკვიდრდება; შედეგი კი სავალალოა: ტერმინოლოგიური სიჭრელე; მიუხედავად ლექსიკონების სიჭარბისა, არ იქმნება ახალი დარგობრივი ტერმინოლოგია.

ერთია, ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბება ისეთ ქვეყანაში ან ენობრივ საზოგადოებაში, სადაც ამისი გამოცდილება არ არსებობს და მეორე და გაცილებით რთულია, ჩვენი აზრით, *ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის აღდგენა*, ტერმინოლოგიური პოლიტიკის მოშლას კიდევ მეტი სირთულე ახლავს, რადგან ამ დროს კი არ ჩერდება ტერმინოლოგიური მუშაობა, პირიქით, კიდევ მეტად აქტიურდება, შესაბამისად, ხშირია ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე შეუთანხმებელი, არაკვალიფიციური და, ამასთანავე, პარალელური მუშაობა. მეორე სირთულის მოსაგვარებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ითვლება ეროვნულ ტერმინთბანკში ტერმინოლოგიური სიჭრელის შესწავლა-გაანალიზება და მასზე დაყრდნობით ტერმინოლოგიური ლექსიკონების შევსება-განახლება, საბოლოოდ კი მათი სტანდარტულ ტერმინოლოგიად მიღება-დამტკიცება. საქართველოში ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის აღსადგენად ბევრი რამაა გასათვალისწინებელი: წარმატებებისა და შეცდომების შესწავლა-გაცნობიერება, ტერმინოლოგიური მასალის გაანალიზება, თეორიულ საკითხებზე მუშაობის გაგრძელება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების გზების სწორად დაგეგმვა.

1. ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, თანამედროვე პრობლემები და მათი მიზეზები

ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორიის შესწავლამ, სხვადასხვა დროის ტერმინთშემოქმედების წარმატება-წარუმატებლობის გაანალიზებამ, ევროპულ ტერმინოლოგიურ საზოგადოებებთან თანამშრომლობამ, ციფრული ეპოქის გამოწვევებმა მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და განსხვავებული გეგმების დასახვის აუცილებლობა განაპირობა ქართულ ტერმინოლოგიურ მუშაობაში.

პრობლემა თანმიმდევრულად რომ გავაანალიზოთ, პირველ რიგში, ცხადია, უნდა შევხოთ არსებულ ვითარებას. საქართველო არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს, სადაც ტერმინოლოგიური პოლიტი-

კა ახლა იქმნება. საქართველოს აქვს ტერმინოლოგიური მუშაობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, ტერმინოლოგიური კვლევების ტრადიცია, ტერმინოლოგიური სტანდარტების მიხედვით მუშაობის, ტერმინოლოგიური მოწყობის (ინფრასტრუქტურის), ტერმინოლოგიური მართვისა თუ ტერმინოლოგიის თანამედროვე ევროპულ საზოგადოებებთან თანამშრომლობის გამოცდილება, არსებობს უძველესი ტრადიციის მქონე კვლევითი ინსტიტუტი, ტერმინოლოგიის განყოფილება, ტერმინოლოგიის კრებული, საქართველოში 2013 წლიდან ყოველ წელს იმართება ტერმინოლოგიის ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები.

და მაინც, მიუხედავად ამ ყველაფრისა, რა უშლის ხელს ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას საქართველოში, რატომ ვერ ხერხდება თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობის სწორად წარმართვა, რატომ ფერხდება თანამედროვე ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა, რატომ არა ვართ მზად ევროპის ქვეყნების საერთო ტერმინოლოგიურ ბაზებში გამართული, ნორმატიული ქართული ტერმინოლოგიის გადასატანად?

აქ თავს იყრის ყველა პრობლემა ერთად: *საბჭოთა, პოსტსაბჭოთა და თანამედროვე*, თითოეულმა თავისი კვალი დატოვა. მათი მოგვარების გარეშე კიდევ მეტად გართულდება მდგომარეობა, საიდანაც თავის დაღწევა, სავარაუდოდ, შეუძლებელიც იქნება.

1.1. საბჭოთა პერიოდის ტერმინოლოგიური მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები:

წინა საუკუნეში საბჭოთა ეპოქის საქართველოში ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, არსებობდა ენის კვლევითი ინსტიტუტები და ამ ინსტიტუტებში – ტერმინოლოგიის განყოფილებები. ტერმინოლოგია საერთო საბჭოთა სტანდარტების შესაბამისად ვითარდებოდა. საქართველოში ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ტერმინოლოგიის განყოფილება 1941 წელს შეიქმნა, მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა რეპრესიების პერიოდში¹. საბჭოთა პერიოდის ტერმინოლო-

¹ აღსანიშნავია ის, რომ ვუკოლ ბერიძე – ტერმინოლოგიის განყოფილების პირველი ხელმძღვანელი – საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი გახდა. ის დააპატიმრეს სამი წლით, შემდეგ, მართალია, გაამართლეს, გაათავისუფლეს და მისცეს სამეც-

გიურ მუშაობაში ორი ქვეპერიოდის გამოყოფა შესაძლებელი, პირველი საბჭოთა პერიოდის დასაწყისს უკავშირდება, მეორე კი – მოგვიანო ხანას (ქაროსანიძე 2014: 179-180). ამ პერიოდში ქართველმა ტერმინოლოგებმა შეძლეს დარგობრივ ტერმინოლოგიაზე მუშაობის მწყობრი სისტემის შექმნა, რომელიც, მართალია, საბჭოთა სტანდარტებს ეფუძნებოდა, მაგრამ 60-იანი წლებიდან გარკვეული ამოსუთქვისა და ქართული საქმის კეთების საშუალებას იძლეოდა, რასაც ვერ ვიტყვით გასული საუკუნის 20-იან წლებზე. 1921 წლის საბჭოთა აგრესიამ ბევრი რამის განვითარება შეაჩერა საქართველოში და, მათ შორის, აკრძალა 1920 წელს გამოცემული პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, როგორც „ზედმეტად ქართული“. აკრძალა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ავტორები, „ნიკოლაძეების ჯგუფის“ წევრები, ქართულ სიტყვებს იყენებდნენ ფიზიკის, ქიმიისა თუ ტექნიკის დარგის ტერმინოლოგიის შესაქმნელად. ეროვნულობის ნებისმიერი გამოვლინება კი უპირისპირდებოდა საბჭოთა იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც ხალხებს „საერთო ენით“ უნდა ელაპარაკათ, ეს გულისხმობდა იმ „საერთაშორისო ტერმინებს“, რომლებიც რუსულს ძველი გერმანულიდან, ფრანგულიდან თუ სხვა ენებიდან ჰქონდა ნასესხები (სიტყვარი 1920: 5-34), თუმცა ქართველ მეცნიერთა, ტერმინოლოგთა დამსახურებით, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ ქართული საქმე ეკეთებინათ, საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა ძველ ქართველ მთარგმნელთა მიერ საუკუნეების წინ შემუშავებული სწორი ტერმინოლოგიური მიდგომები (ქაროსანიძე 2019).

მნიშვნელოვანია ის, რომ ვუკოლ ბერიძე ქართული ტერმინთმემოქმედების მომხრე იყო, რითაც ის აგრძელებდა X-XII საუკუნეების ქართველ ტერმინოლოგთა, ილია ჭავჭავაძის (მე-19 საუკუნე), „ნიკოლაძეების ჯგუფის“ გზას, ნაკლებად იზიარებდა საბჭოთა იდეოლოგიას ქართულ ენაში უცხო ტერმინების დამკვიდრების უპირატესობის შესახებ და ცდილობდა ლექსიკონებში უცხო სიტყვასთან ერთად ქართული ძირით ნაწარმოები ტერმინიც შეეტანა¹. შესაბამისად, საბჭოთა პერიოდის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ერთი ცნებისთვის ორი

ნიერო მუშაობის უფლება, მაგრამ ამ წლების ტრაგედია მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ განულებია.

¹ დღესაც ქართულ ენაში გამოიყენება ვუკოლ ბერიძის მიერ შექმნილი არაერთი ქართული სიტყვა. მოგვიანებით ეს გზა როგნედა ღამბაშიძემ და ინგა ჯიბუტმა განაგრძეს.

შესატყვისია უმეტესად, ერთი უცხო, მეორე – ქართული, რასთან გამკლავებაც დღეს ჩვენთვის ერთ-ერთი გამოწვევაა¹. აქ ერთგვარ სახელმძღვანელოდ გამოგვადგება ვუკოლ ბერიძის თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით: „თუ ინტერნაციონალურ ტერმინს ქართულ ხალხურ სასაუბრო ენაში გააჩნია თავისი პარალელი, ჩვენც უთუოდ უნდა შემოვიღოთ იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უცხო ტერმინი მოიხსნება და მარტო მშობლიური დარჩება სახმარებლად“ (ბერიძე, 1952: 32).

ქართველ ენათმეცნიერთა, ტერმინოლოგთა მუშაობა ენათმეცნიერების ინტიტუტში დაცულ ხელნაწერ ოქმებშია შემონახული, რომლებიც, სამწუხაროდ, სრულად ჯერაც არ გაციფრულებულა. ის სრულად მიესადაგება თანამედროვე ევროპული ტერმინოლოგიური სტანდარტებით განსაზღვრულ მუშაობას: ცნებების დადგენა წყარო და სამიზნე ენებში, ტერმინთა ვარიანტების შერჩევა, საერთო სხდომები და ნორმატიულ ტერმინებზე საჯარო მსჯელობა, სხდომების ჩანაწერების გაკეთება.

ასე მიმდინარეობდა ქართულ-რუსულ ტერმინთა ჰარმონიზაცია, რის შედეგადაც საბოლოოდ, დადგინდა და გაიმართა ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია, შეიქმნა ტერმინოლოგიური ლექსიკონები². ორი ენის ტერმინოლოგიის, ლექსიკოგრაფიული შესატყვისების დადგენა (ჰარმონიზაცია) ხანგრძლივ სამეცნიერო შრომას მოითხოვს. დღეს, როცა, სამწუხაროდ, ქართულ ენაში მატულობს ინგლისური ტერმინების უთარგმნელად გადმოღებული ან კალკირებული

¹ ცხადია, ახალ დარგობრივ ლექსიკონებში შეძლებისდაგვარად უნდა შემცირდეს სინონიმია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ქართულ და უცხოპირიან ტერმინებს შორის ერთის არჩევის წინაშე დავდგებით.

² როგორებიცაა, მაგალითად, ტექნიკური (1942, 1957, 1977, 1993 (არ გამოცემულა), სამედიცინო (1947), რადიოტექნიკის (1947), მეტალურგიის (1949, 2008), ეკონომიკის (1947), მოკლე სამთო-ტექნიკური (1948), ნიადაგმცოდნეობის (1950), ავტო-ტრაქტორის (1950), აღრიცხვისა და სტატისტიკის (1950), სოფლის მეურნეობის (1959), ფიზიკის (1960), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (1962), იურიდიული (1963), ელექტროწევის (1965), ჰიდროტექნიკური (1966), გეოგრაფიის (1967), ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია (1967), სატყეო-ტექნიკური (1968), ქიმიის (1970), მეფუტკრეობის (1973), კავშირგაბმულობის (1981), რადიოელექტრონიკის (1981), სამხედრო (1987), ავტოტრანსპორტის (1987), გეოფიზიკის (1986, 1988) და სხვები.

ფორმები, მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ, როგორ მუშაობდნენ ქართველი მეცნიერები ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე. ამ მხრივ ყველაზე მრავლისმთქმელია სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიური ლექსიკონის წინასიტყვაობა, რომელშიც ჩანს დადგენილი ტერმინოლოგიური წესებით მუშაობის მთელი პროცესი, ლექსიკონის მოსამზადებელი და მიმდინარე სამუშაოს ყველა ეტაპი: სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიურ ლექსიკონზე სამუშაოდ, უპირველესად, გამოყვეს ქვედარგები: მემინდვრეობა, ნიადაგმცოდნეობა, ენტომოლოგია, მებოსტნეობა, მეტყევეობა, მეხილეობა, აგროქიმია, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ფიტოპათოლოგია, ზოგადი მიწათმოქმედება, მევენახეობა, სუბტროპიკული კულტურები, სოფლის მეურნეობის მელიორაცია, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა. თითოეულ ქვედარგს რამდენიმე (ექვსი-შვიდი) ცნობილი სპეციალისტი ჩაუყენეს სათავეში, მათი შედგენილი სალექსიკონო მასალა შემოდიოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილებაში, გამოცემამდე ორი წლის განმავლობაში მასალისთვის საბოლოო სახის მისაცემად ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობდა რამდენიმე კომისია, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მთავარი რედაქტორი – ნიკო კეცხოველი და ალექსანდრე მაყაშვილი, რომელიც 1953-1955 წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი იყო. გარდა ამისა, მუშაობაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის, მეცხოველეობის ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლები. ლექსიკონის წინასიტყვაობიდან ირკვევა ისიც, რომ სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაზე მუშაობისას უმთავრესი ამოცანა ქართულ-რუსულ ცნებათა დადგენა და ზუსტი შესატყვისის მოძებნა იყო, აქვე ავტორები ბოდიშს უხდიან საზოგადოებას იმის გამო, რომ ზოგ შემთხვევაში კალკირებას გვერდი ვერ აუარეს (სოფლის მეურნეობა 1959: 5-9). ცხადია, ამავე მიდგომებითა და გეგმით იქმნებოდა სხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები. საბჭოთა პერიოდის ტერმინოლოგიური სტანდარტები, მცირე სხვაობების გარდა, ჰგავს თანამედროვე ევროპული ტერმინოლოგიური სტანდარტებით განსაზღვრულ მუშაობას, შესაბამისად, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ამ დროს მომზადებული და გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონების ბაზის შექმნა, რათა არ დაკარგოთ სხვადასხვა დარგისა და ქვედარგის ცნობილ მეცნიერთა მიერ დამუშავებული და სამეცნიერო კომისიების სხდომებზე დამტკიცებული ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია.

საბოლოოდ, მოკლედ რომ შევაფასოთ საბჭოთა პერიოდის ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასეთი სურათი იხატება: დადებითია ის, რომ საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ქართველმა ტერმინოლოგებმა შეძლეს თითქმის ყველა იმდროინდელი დარგის ქართული ტერმინოლოგიის შექმნა; სამწუხაროა, რომ ეს ლექსიკონები 80-იან წლებამდე, საბჭოთა პოლიტიკისა და მითითებების გამო, მხოლოდ ორენოვანი – ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული იყო; სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ლექსიკონებში, ძირითადად, ქართულ სიტყვას ხშირად სინონიმად ახლავს უცხო ტერმინი.

1.2. პოსტსაბჭოთა ტერმინოლოგიური პრობლემები საქართველოში

პოსტსაბჭოთა ეპოქის გამოწვევებმა სხვა სირთულეების წინაშე დააყენა ქართული ტერმინოლოგია. 90-იან წლებში ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის სტრუქტურულიდან მხოლოდ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიური განყოფილება დარჩა, დაიშალა ენის სახელმწიფო კომისია, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილ ლექსიკონებს.

ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე მუშაობა, მართალია, ისევ გაგრძელდა ტერმინოლოგიის განყოფილებაში, თანაც ამჯერად ინგლისურ-ქართულის¹, მაგრამ ამ პერიოდში შექმნილი ტერმინოლოგიური ლექსიკონები საყოველთაო მოხმარებისა ვერ გახდა, რადგან ენათმეცნიერების ინსტიტუტი თანდათან კარგავდა ტერმინოლოგიური მუშაობის წარმმართველის, ცენტრის, ფუნქციას და ნორმატიული, სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის ცნება საქართველოში თანდათან

¹ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს შექმნილი ლექსიკონები: *სახელმწიფო მმართველობის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, 2000 წ.* *ეროვნებათა და საქმიანობათა ლექსიკონი, 2000 წ.* *საავიაციო ლექსიკონი, 2000 წ.* *ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია, 2001 წ.*, *ნავთობისა და გაზის ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი, 2005 წ.*, *მარკეტინგის ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი, 2005 წ.* *ბიოლოგიურ ტერმინთა მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, 2006 წ.*, *ბირთვული ექსპერტის კონტროლის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, 2008 წ.* და სხვ.),

ქრებოდა. საბოლოოდ, ცხადია, პოსტსაბჭოთა პერიოდში ტერმინოლოგიური პოლიტიკის არარსებობამ უმძიმესი პრობლემები წარმოშვა ამ დარგში, ზოგადად, ენაში.

ცხადია, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე უნდა გადადგმულიყო შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

1. საბჭოთა სტანდარტებიდან ევროპულ ტერმინოლოგიურ სტანდარტებზე გადასვლა;
2. ტერმინოლოგიური მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბება და ცენტრალური ორგანოს გამოკვეთა, რომელიც ამას გაუძღვებოდა (ასეთად ისევ ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღიარება და მისთვის ხელშეწყობაც, რა თქმა უნდა, საკმარისი იქნებოდა);
3. არსებული ბეჭდური ტერმინოლოგიური ლექსიკონების გაციფრულება;
4. ქართულ-ინგლისური შესაბამისობების დადგენა (ჰარმონიზაცია);
5. ახალ ტერმინებსა და ცნებებზე მუშაობა;
6. თეორიულ საკითხებზე მუშაობის გაგრძელება;
7. ახალგაზრდა კადრების გაზრდა;
8. ტერმინთბანკზე, ტერმინთბანკის პროგრამებზე მუშაობა;

დასანანია, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ პოსტსაბჭოთა ისტორიულ-პოლიტიკური სირთულეების გამო ვერ შეძლო ის, რაც, მაგალითად, ლიეტუვამ, რომელმაც შეინარჩუნა ენის ინსტიტუტი სრული ფუნქციით, უპატრონა საბჭოთა სამეცნიერო მემკვიდრეობასაც და ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის პოლიტიკა თანმიმდევრულად ევროპულ სტანდარტებს მიუსადაგა, შექმნა ტერმინთბანკი და ჩართულია ევროპულ ტერმინოლოგიურ მუშაობაში, ავითარებს და მომავალს უქმნის ლიეტუვურ ენას (აუკსორიუტე, მანჯგალაძე, 2018:3-12). საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ლიეტუვის ენის ინსტიტუტი 90-იან წლებამდე ერთნაირი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები იყო, რომლებიც საერთო, საბჭოთა ტერმინოლოგიური თუ სხვა სტანდარტებით იმართებოდა, შესაბამისად, ამ ორი ინსტიტუტის მიერ პოსტსაბჭოთა პერიოდში განხორციელებული სამუშაოებისა და შედეგების მიხედვითაც ადვილად დავინახავთ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ტერმინოლოგიური პოლიტიკის არარსებობას ქვე-

ყანაში. საქართველო, სამწუხაროდ, დღემდე იმ ქაოსშია, რომელიც ტერმინოლოგიური პოლიტიკის მოშლამ მოიტანა¹.

საქართველოში ტერმინოლოგიური პოლიტიკის მოშლით გამოწვეულ ტერმინოლოგიურ ქაოსს შესანიშნავად წარმოაჩენს ერთი შემთხვევა, რომელიც 2021 წელს მოხდა: ენათმეცნიერების ინსტიტუტს მომართა მოქალაქემ განცხადებით, რომელშიც ის გვთხოვდა, განგვემარტა ტერმინი *სარდაფი*. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იმავე მოქალაქემ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის გარდა, ამ თხოვნით მიმართა დაახლოებით შვიდ ორგანიზაციას, მათ შორის, ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს, სამხარაულის საექსპერტო ცენტრს, გამოითხოვა სახელმწიფო დოკუმენტაცია მშენებლობის სტანდარტების შესახებ და სხვ., საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა უწყების მიერ მოწოდებული დოკუმენტებისა თუ ლექსიკონების მასალები სრულიად განსხვავებულია, არ ემთხვევა ერთმანეთს სარდაფის თუნდაც ორი განმარტება, განსხვავებულია სარდაფის ზომები, ტერმინები (ზოგიერთ დოკუმენტში ტერმინი *სარდაფი* საერთოდ არ გამოიყენება). საბოლოოდ, გაურკვეველია, რას ეწოდება *სარდაფი*: მიწისქვეშა, მიწისპირა, ცალკე მდგომ შენობას თუ სამივეს. ცხადია, სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში *სარდაფი*, როგორც ტერმინი, მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული სასაუბრო ენაში გამოყენებული სიტყვისაგან, შეთანხმებული უნდა იყოს მისი განმარტება, ზომებიც და ტერმინიც. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების არქივში, ოქმებსა და განცხადებებში ამ შემთხვევის მრავალი საპირისპირო ისტორიაა შემონახული, მაგალითად, ერთ-ერთი განცხადება, რომელიც 1974 წლის 7 ივლისით თარიღდება, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგის, როგნედა ღამბაშიძის, სახელზეა ინსტიტუტში შემოსული.

¹ ამ საკითხს განიხილავს ავთანდილ არაბული სტატიაში „ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“: „ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე რამდენიმე გადამწყვეტი ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს იმისათვის, რომ ქართული ენის ფუნქციონირების ფარგლები და ნორმატიული სტანდარტები უკიდურესად გაუარესებულიყო; შეიძლება ითქვას, საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასე მოკლე პერიოდში ასეთი სწრაფი ტემპით დაცემულიყო ენობრივი კულტურის საყოველთაო განცდა და ოფიციალური ენობრივი პოლიტიკის საინსტიტუციო შეგნება“, - წერს ავთანდილ არაბული და ასახელებს ექვს ფაქტორს, რომლებმაც, მისი აზრით, მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე (არაბული, 2014:5).

განცხადების ავტორი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი კოტე ბარამიძე – წერს: „ჩვენში, როგორც მთავორიან ქვეყანაში წარმატებით ვითარდება საბაგირო გზები და შესაფერისი ლიტერატურაც ქვეყნდება. ამიტომ მეტად აქტუალურია ამ დარგის ძირითადი ტერმინის დადგენა. ამჟამად მიღებულია ტერმინი „საბაგირო გზა“. აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ შემოგვთავაზა მის ნაცვლად ტერმინი: „ბაგიროგზა“. იგი უფრო მოხდენილ და ექსპრესიულ ტერმინად მიგვაჩნია, ვიდრე „საბაგირო გზა“. დაბოლოს, ჩვენი აზრით, სადაც კი ეს შესაძლებელია, უნდა ვცდილობდეთ არ გამოვიყენოთ თავსართი სა, თორემ ჩვენი ტექნიკური ლექსიკონები მეტისმეტად არათანაბარი იქნება ალფაბეტის მიხედვით“. ამ მაგალითით შესანიშნავად ჩანს ტერმინოლოგიური პოლიტიკის არსი: შეთანხმებული მუშაობის დროს ტერმინებს თვითნებურად არ ირჩევენ, ტერმინოლოგიას ათანხმებენ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ანდობენ იმ უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია ტერმინოლოგიურ მუშაობაზე ქვეყანაში. დღესაც ამ სახისაა შეთანხმებული მუშაობა ევროპულ ქვეყნებში, საქართველოში კი ქაოსური, შეუთანხმებელი, პარალელური მუშაობა მიმდინარეობს, რაც საბოლოოდ სახელმწიფოებრივი დოკუმენტების არასანდოობასა და გაუმართაობას იწვევს.

1.3. თანამედროვე ტერმინოლოგიური პრობლემები საქართველოში

სხვა სირთულეებს ისიც დაემატა, რომ დაიწყო პროექტების შეუთანხმებელი დაფინანსება. ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე მუშაობს ყველა, ვინც კი დაფინანსებას მოიპოვებს მიუხედავად იმისა, პროექტის ავტორებს მანამდე ჰქონდათ თუ არა ამის გამოცდილება. საბოლოოდ, დღევანდელი ვითარება ასეთია:

1. ტერმინოლოგიურ პროექტებზე პარალელური და შეუთანხმებული მუშაობა;
 2. არასანდო ტერმინოლოგიური ლექსიკონები;
 3. უთარგმნელად გადმოღებული ტერმინები;
 4. გაუმართავად თარგმნილი ტექსტები;
 5. არაკვალიფიციური მთარგმნელები;
 6. ტერმინოლოგიური მუშაობის განვითარების შესახებ მკაფიო და სტანდარტებზე დაფუძნებული ხედვის არარსებობა.
- მაშასადამე, ერთი მხრივ, არსებობს და მუშაობას განაგრძობს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიური განყოფილება,

რომელსაც აქვს სახელმწიფოსთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმა და, მეორე მხრივ, მისგან დამოუკიდებლად, მასთან შეუთანხმებლად, მისი სამუშაოების გაუთვალისწინებლად, პარალელურად შეიძლება დაფინანსდეს პროექტი, რომელშიც იგივე საქმეა დაგეგმილი. ცხადია, ეს ადამიანური და ფინანსური რესურსების გაუზარებელი და სახელმწიფოსთვის დამაზიანებელი ხარჯვაა, როცა შეთანხმებული მუშაობისას მეტი ტერმინოლოგიური პროექტი იქნებოდა სწორად დაგეგმილი, მეტი ადამიანი იქნებოდა ჩართული და, შესაბამისად, მნიშვნელოვან შედეგებსაც მივიღებდით. ქართულ ტერმინოლოგიაში მრავალი საკითხია მოსაგვარებელი, მრავალი თემა საკვლევია, მასში შეიძლება ასევე მეტად ჩაგვეერთო ახალგაზრდა მკვლევრები და გაგვეზარდა მომავალი ტერმინოლოგები¹.

¹ ტერმინოლოგიური მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბებამდე არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიური განყოფილება (ice.ge) აგრძელებს ქართული ტერმინოლოგიური სკოლის ტრადიციებს და ცდილობს ტერმინოლოგიური საზოგადოების ერთიანობის შენარჩუნებას. ტერმინოლოგიის განყოფილების ინიციატივით, ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულდა და დაიგეგმა შემდეგი სამუშაოები:

1. 2013 წელს დაარსდა ყოველწლიური *ადგილობრივი კონფერენცია* ტერმინოლოგიაში. მისი მთავარი მიზანი იყო გაერთიანებინა ამ საკითხებზე მომუშავე საზოგადოება, ენათმეცნიერებსა და დარგის სპეციალისტებს ერთად ემსჯელათ მის მოწესრიგებაზე;
2. 2014 წლიდან დაარსდა ჟურნალი „ტერმინოლოგიის საკითხები“, იხ. [კრებულები – TermBank](#)
3. 2014 წელს განყოფილებაში დაიწყო *ქართულ ტერმინთბანკზე* მუშაობა, შეიქმნა ეროვნული ტერმინოლოგიური ბაზების კონცეფცია, რომელიც 2017 წელს წარედგინა სამეცნიერო საზოგადოებას. პროექტის წარდგინება გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (იხ.: http://www.nplg.gov.ge/geo/events/electronuli_resursebi_qarTuli_terminologiis_korpusisaTvis/id1852 ასევე - რადიოჩართვა: https://www.youtube.com/watch?v=OPDvC0_FFoU).

2017 წელს ტერმინოლოგიის განყოფილების მეცნიერთა ინიციატივით შეიქმნა *საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიური საზოგადოება*. იმავე წელს საქართველოს ტერმინოლოგიის საზოგადოება ევროპის ორი ტერმინოლოგიური საზოგადოების წევრი გახდა (იხ. [TermBank – ქართული ტერმინთსაცავი](#))

საზოგადოების შექმნამ შესაძლებელი გახდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების კიდევ მეტად გაერთიანება და, ასევე, ევროპულ ტერმინოლოგიურ საზოგადოებებთან დაახლოება;

როგორ მოვერიოთ საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილ ტერმინოლოგიურ პრობლემებს, რომლებსაც თანამედროვე ემატება? ამასთან დაკავშირებით ქართველ საზოგადოებაში ორი განსხვავებული აზრია:

1. აღარ არის საჭირო „საბჭოთა ლექსიკონების“ გაციფრულება, ყველაფერი დავიწყოთ თავიდან, ანუ გავაკეთოთ ყველა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონი ინგლისურის მიხედვით;
2. შევისწავლოთ, გავაანალიზოთ ყველა ქართული ტერმინი (თანამედროვე ტექნოლოგიები ამის საშუალებას გვაძლევს) და ამ შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით დავიწყოთ ტერმინთა ნორმალიზაცია-სტანდარტიზაცია.

4. 2018, 2020, 2022 წლებში არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებისა და საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციის თაოსნობით გაიმართა *საერთაშორისო კონფერენცია „ტერმინოლოგია - მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“* [საერთაშორისო – თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი \(ice.ge\)](http://ice.ge)
5. 2021 წელს თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებისა და საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიური ასოციაციის ერთობლივი მუშაობით ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოსაცემად მომზადდა იუნესკოს მიერ შექმნილი სახელმძღვანელო *„ტერმინოლოგიური მართვის პოლიტიკა“* იხ. [INTERNATIONAL INFORMATION CENTRE FOR TERMINOLOGY - Publications \(infoterm.info\)](http://infoterm.info)
6. წელს ის სიახლეცაა, რომ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებასთან ერთად დაიწყო IATE-სთან (ევროპარლამენტის ტერმინოლოგიურ ბაზასთან) თანამშრომლობა როგორც ევროპარლამენტის ტერმინოლოგიური ბაზების ხელმძღვანელი როდოლფო მასლიასი წერს: „ურთიერთთანამშრომლობა დაგეხმარება ჩვენი გამოცდილების გაუმჯობესებაში და ხელს შეუწყობს ქართული ენის შესვლას ევროპული ენების ოჯახში, როდესაც საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი“, იხ. <http://termbank.ge/rodolfo-maslias-head-of-terminology-coordination-of-the-european-parliament-termcoord/?lang=en>

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ტერმინოლოგიური სკოლა, მრავალი სირთულის მიუხედავად, დღემდე რამდენიმე მიმართულებით მუშაობს.

მიუხედავად იმისა, რომ არ ვეთანხმებით პირველ თვალსაზრისს, კარგად გვესმის მისი გაჩენის საფუძველი: ეს გამოუვალი მდგომარეობიდან გარკვეული გამოსავლის ძიებამ განაპირობა საქართველოში, კერძოდ, იმ შედეგებმა და ვითარებამ, რომლებიც საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა ტერმინოლოგიურმა პრობლემებმა მოიტანა. იმის გამო, რომ ელექტრონული ლექსიკონების შექმნა დაგვიანდა და საბჭოთა პერიოდში დადგენილი ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია ბეჭდურ ლექსიკონებში დარჩა, მათ ნაკლებად იყენებდა და იყენებს საზოგადოება. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკონები, ძირითადად, ორენოვანია, ახალგაზრდა თაობამ კი საქართველოში რუსული ნაკლებად იცის. შესაბამისად, გაჩნდა ახალი, ინგლისურ-ქართული, ტერმინოლოგიური ლექსიკონების საჭიროება, რამაც განაპირობა ტერმინების ინგლისურიდან პირდაპირ, ნაჩქარევად, შეუთანხმებლად გადმოღება. შეიქმნა მრავალი ლექსიკონი, რომელთა სრულად ვერც აღწუსხვას ახერხებს სამეცნიერო წრე და ვერც განხილვას, თუმცა, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ამ სახის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ცნება-ტერმინთა შესაბამისობა სადავოა, ასე მივიღეთ განსხვავებული ტერმინები მეტალურგიაში, სამხედრო საქმეში, კავშირგაბმულობაში და სხვ. სწორედ ამგვარი ლექსიკონების მომრავლებამ საქართველოში გამოიწვია, ერთ მხრივ, უცხო სიტყვათა განუკითხავად შემოჭრა და ქართული ტერმინების ჩანაცვლება, მეორე მხრივ, ერთი ცნებისთვის ოთხი ან, სულაც, მეტი განსხვავებული ტერმინის არსებობა. ცხადია, ასეთი სიჭრელე საფრთხეს უქმნის ენის მომავალს. ეს ტერმინები უკვე ენაშიც მკვიდრდება, განტერმინდება, რაც ენას ბუნებრიობას უკარგავს და საფრთხეს უქმნის. ტერმინოლოგიურმა სიჭრელემ და თვითნებურმა ტერმინთშემოქმედებამ, ცხადია, ამ პერიოდში შექმნილი ტექსტებიც არასანდო გახადა და, შესაბამისად, ტერმინოლოგიური ლექსიკონების შესაქმნელად ვერც ორენოვან თუ სხვა სახის კორპუსებს დავყრდნობით, სამწუხაროდ. სანდო ლექსიკონების შესაქმნელად აკადემიურ თარგმანებზე დაყრდნობით შექმნილი ორენოვანი კორპუსებია საჭირო.

საბოლოოდ, ამ ყველაფრის შესწავლამ გამოკვეთა ის, რომ დღეს გასაანალიზებელი გვაქვს შემდეგი ლექსიკონები:

1. საბჭოთა პერიოდში შედგენილი ქართულ-რუსულ, რუსულ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონები;

2. 2000 წლიდან შედგენილი ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული ლექსიკონები, რომლებიც, უმეტესად, არა ინსტიტუციურად, არამედ სხვადასხვა ჯგუფის მიერ იქმნებოდა;

3. უამრავი თანამედროვე ლექსიკონი, რომლებიც სრულად აღნუსხული არ არის, მათ შორისაა, ყოველგვარი კოორდინაციის გარეშე სხვადასხვა ავტორის (ავტორთა) მიერ შედგენილი ტერმინოლოგიური ლექსიკონებიც.

შესაბამისად, გვაქვს სამი სახის სამუშაო ჩასატარებელი:

1. ქართული დარგობრივი ლექსიკონებიდან ზოგი მხოლოდ სარედაქციოა;

2. ზოგ დარგში საჭიროა ქართულ-ინგლისურ ცნება-ტერმინთა შესაბამისობების დადგენა;

3. ზოგი, შეიძლება ითქვას, თავიდანაა გასაკეთებელი, ეს ეხება განსაკუთრებით ბოლო წლებში შემოსული დარგების ლექსიკონებს, რომლებშიც დარღვეულია ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის სტანდარტები, ასეთი სფეროა, მაგალითად, ქართული საბანკო ტერმინოლოგია, რაც გამოვლინდა საბანკო საქმის სახელმძღვანელოების შესწავლისას (ხურცილავა 2016: 154-163);

3. ქართული ტერმინთა ბანკი და ქართულ ტერმინთა სტანდარტიზაციისა და პოლიტიკის საკითხები

ტერმინოლოგიის სწორად დაგეგმვასა და მართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და ტექნიკური პროგრესისათვის. ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავება და სრულფასოვნად განხორციელება მხოლოდ გონივრულად დაგეგმილი ნაბიჯებითაა შესაძლებელი, ეს ყველაფერი კი დაწვრილებითაა აღწერილი სახელმძღვანელოში, რომელიც იუნესკოს შეკვეთითა და რამდენიმე ქვეყნიდან საგანგებოდ მოწვეული ტერმინოლოგების საერთო მუშაობით შექმნა საერთაშორისო საინფორმაციო ტერმინოლოგიურმა ცენტრმა (Infoterm). 2005 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო 11 ენაზე იყო თარგმნილი, 2020 წლიდან კი მას ქართულიც დაემატა¹. წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „წარმოდგენილი „სახელმძღვანელო დებულებები“ განკუთ-

¹ იხ. [TermPolGuidelinesGeorgian_2021.pdf \(infoterm.info\)](#)

ვნილია გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირთათვის, რომელთაც სხვადასხვა მიზნით სურთ ისეთი ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართულია გარკვეული საზოგადოებისათვის ტერმინოლოგიის შექმნის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების გონივრულ, თანმიმდევრულ და მართვად მიდგომაზე“ (სახელმძღვანელო, 2005)¹.

ტერმინოლოგიის პოლიტიკა გულდასმით უნდა მომზადდეს. მომზადების საფეხური შეიძლება მოიცავდეს:

- ენობრივი და ტერმინოლოგიური გარემოსა და არსებული კანონმდებლობის შეფასებას;
- ენობრივი ცნობიერების შესაქმნელ ღონისძიებებსა და ძალისხმევას ამ ღონისძიებების ოფიციალური აღიარების მისაღწევად;
- მეთოდოლოგიის შემუშავებას და არსებულ თუ შესაძლებელ ღონისძიებებს;
- წინასწარი დოკუმენტების მომზადებას;
- ეროვნული კონსულტაციის მოწყობას.

„ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელოში“ დაწვრილებითაა აღწერილი ტერმინოლოგიური მუშაობის მოგვარების თითოეული ნაბიჯი, ეტაპი. მასში ტერმინოლოგიური პოლიტიკის, ანუ სწორი, შეთანხმებული ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯადაა მიჩნეული ეროვნული ტერმინოლოგიური ბაზის გამოყენება (სახელმძღვანელო 2020: 44).

საქართველო არასოდეს, არცერთ საუკუნეში ისე არ ჩამორჩენილა განვითარებას, როგორც ციფრულ ეპოქაში. იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო საკუთარი ენის საერთაშორისო ენად ქცევას ცდილობს და ამისათვის გაათმაგებულია ტერმინოლოგიასა და, ზოგადად, ენობრივ საკითხებზე მუშაობა, ქართული ტერმინოლოგიის მდგომა-

¹ ტერმინოლოგიური მეთვალყურეობის საბჭოს (Infoterm) დირექტორი ბატონი ქრისტინა გალინსკი თავად ჩამოვიდა თბილისში 2022 წელს და მთარგმნელთან, პროფ. ზაალ კიკვიძესთან, ერთად წიგნის ქართული თარგმანი წარუდგინა ქართველ საზოგადოებას. იხ. „ქართული ტერმინოლოგია და ამ კუთხით ქვეყნის მზაობის მაგალითები“, იხ. https://tsu.media/qartuliterminologia/?fbclid=IwAR1I1KEy0FHJz5ZbdsQC4_bRKtCs3q2iyvYw4trNk9EGN0FqGr78rXhXcnc

რეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რამაც გამოიწვია კიდევ ის, რომ ქართული ინტერნეტსივრცე სავსეა შეცდომებით, გაუმართავი, გაურკვეველი წარმომავლობის ლექსიკონებით, რომლებსაც, სამწუხაროდ, იყენებს ქართველი მომხმარებელი, ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ენის განვითარება „ის ენობრივი საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლება სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია, იძულებული გახდება, გამოიყენოს რომელიმე სხვა, უფრო განვითარებული, უცხო ენა დარგობრივი ენისთვის. დღეს საზოგადოებრივი ურთიერთობები ეყრდნობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შესაბამისად, ტერმინოლოგიის უქონლობა, მართალია, ირიბად, მაგრამ უცილობლად აღმართავს ციფრულ გამყოფს, რომელიც შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს“ (სახელმძღვანელო 2005: 21). უახლოეს მომავალში თუ ვერ შევძელით დროის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, ქართული ენა საერთაშორისო ურთიერთობის ენად გამოყენების შესაძლებლობას დაკარგავს, საქართველო „ციფრული გამყოფის“ სხვა მხარეს აღმოჩნდება.

საერთო ევროპულ ტერმინოლოგიურ ბაზებში უნდა გადავიდეს ნორმატიული, შეთანხმებული, მეცნიერულად გამართული ტერმინოლოგია, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ლექსიკონები ჯერჯერობით არა გვაქვს. ის დრო, რომელიც დაგვარგეთ, ის პრობლემები, რომლებიც დაგვიგროვდა, ქართულ ენაში არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელისა და გაუმართავი, შეუთანხმებელი ტერმინების საერთაშორისო ბაზებში მოხვედრის საშიშროების წინაშე გვაყენებს. ეს საკითხი რამდენიმე წლის წინ შეისწავლა ახალგაზრდა მკვლევარმა ნინო სხირტლაძემ, მისი დაკვირვებით, ტერმინოლოგიური ბაზა ტრადოსი საქართველოში რამდენიმე უწყებას ჰქონდა შემენილი და მასში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გადაჰქონდათ ქართული ტერმინები (სხირტლაძე 2018: 176-181). ამ სირთულეს თავისთავად მოაგვარებდა *ნორმატიულ ტერმინთა ბაზის* არსებობა, თუმცა ის ჯერაც გამოუქვეყნებელია. საერთაშორისო სტანდარტის – ისო-1087 – მიხედვით, „ტერმინთბანკი ტერმინოლოგიური მინაცემების ბანკია“ (ისო-1087), ტერმინოლოგიური მონაცემები ყველა სახელმწიფოს სხვადასხვაგვარად აქვს თავმოყრილი, მიზანი კი ყველას ერთი აქვს, საბოლოოდ ეროვნული სტანდარტიზებული ტერმინოლოგიური მონაცემები, ეროვნული ტერმინთბანკები დიდ საერთო ბაზებად იქცეს და ჩამოყალიბდეს დიდი ციფრული ენობრივი სამყარო, სადაც თითოეულ ენას თანაბარი უფლებები ექნება, სადაც საერთაშორისოდ მესამე ენა საჭირო

აღარ იქნება. უკვე შეიქმნა კიდეც რამდენიმე ასეთი დიდი საერთო ბაზა, რომლებშიც გაერთიანებულია რამდენიმე ქვეყნის ეროვნული ტერმინოლოგიური ბანკი. მათ შორის, ერთ-ერთ ცნობილი ბაზაა IATE. აქამდე ევროპა თანდათან, თანმიმდევრული და გეგმაზომიერი ღონისძიებებით მივიდა. საქართველომ კი სწორედ აქეთკენ მიმავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გამოტოვა, ის, რაც განვითარებულმა მსოფლიომ ეტაპობრივად აკეთა, საქართველოს სწრაფადვე აქვს მოსაგვარებელი, თუმცა არის ერთი უპირატესობაც – სხვების მიერ გაკვალილი გზა და უკვე დახვეწილი პროგრამები, რომლებიც თავისუფლადაა მისაწვდომი ინტერნეტსივრცეშიც, შესაბამისად, ამ ვითარებაში მთავარი მაინც ის სამეცნიერო ძალაა, რომელმაც უნდა მართოს ქართული ენის მონაცემები თანამედროვე სამყაროში, სადაც თითოეული ქართული სიტყვის დაცვა და მასში ასახული კულტურის წარმოჩენა უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ციფრულმა ეპოქამ უჩვეულო რეალობა შექმნა: გაჩნდა შესანიშნავი საშუალება იმისა, რომ უკეთ და ადვილად გააცნონ ერებმა თავიანთი კულტურა და ენა მსოფლიოს, ამიტომაც ახლა, როგორც არასდროს, უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანაა ქართული ენის კვლევის ცენტრის გაძლიერება და მომავალი მკვლევრების გაზრდა.

ქართული ტერმინთბანკის ფუნქციები თავიდანვე საგანგებოდ სწორედ საქართველოში არსებული ტერმინოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად განისაზღვრა და ჩამოყალიბდა (ქართული ტერმინთბანკი 2018: 189-198). ქართული ტერმინთბანკი, საქართველოში არსებული ვითარების გამო, ევროპული ტერმინთბანკებისგან განსხვავებული პრინციპებითაა შექმნილი. ის მიზნად ისახავს ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილი ყველა დარგის ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონის ერთ ბაზაში თავმოყრას, მათ შესწავლა-გაანალიზებასა და მათზე დაყრდნობით სინონიმიდან ნორმატიული ტერმინის გამოყოფასა და ინგლისური შესაბამისობის დადგენას. ეს გზა არ არის უცხო ევროპული ტერმინოლოგიური გამოცდილებისთვის: „ტერმინოლოგიის დაგეგმვაში, განსაკუთრებით ეროვნული ტერმინოლოგიის პოლიტიკის ფარგლებში, ამ პოლიტიკის განსახორციელებლად ეროვნული ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზა გამოიყენება, როგორც ერთ-ერთი მთავარი საშუალება“, – წერია ინფოტერმის მიერ მომზადებულ ტერმინოლოგიის მართვის პოლიტიკის სახელ-

მძღვანელოში (სახელმძღვანელო 2005). იგივე მეთოდი გამოიყენა ხორვატიამ ტერმინთბანკის შექმნისას (სტრუნა 2007)¹.

ქართული ტერმინთსაცავის (ქართული ტერმინთბანკის) განვითარებით საქართველო მზად იქნება სწორად წარმართოს ტერმინოლოგიური მუშაობა ახალ, ციფრულ, ეპოქაში და გამართული, სტანდარტიზებული ტერმინოლოგიური მასალით შეუერთდეს ევროპის ქვეყნების ტერმინოლოგიურ ბაზებს.

ქართულ ტერმინთბანკში თავს იყრის უმნიშვნელოვანესი მასალა, კერძოდ: სხვადასხვა დროის დარგობრივი ლექსიკონები; ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი ფონდები; უმნიშვნელოვანესი ოქმები, რომლებშიც XX საუკუნის ტერმინოლოგიური საკითხების შესახებ გამართული სხდომების ჩანაწერებია დაცული; დარგის სპეციალისტების მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული შენიშვნები; ძველი ქართული ტერმინოლოგიური მასალა; არასალიტერატურო ფონდი; სხვადასხვა გაზეთში შემონახული ტერმინოლოგიური მასალა; ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია თემატური სამიებლებით.

ტერმინთბანკს შემდეგი ფუნქციები აქვს: აქ იძებნება *სიტყვის განმარტება, სიტყვის წარმომავლობა, სიტყვის შედგენილობა, ტერმინები მაწარმოებლების მიხედვით, ბარბარიზმი, სინონიმი, გამოუქვეყნებელი ტერმინოლოგიური მასალები, სიტყვა ფუძის/ძირის მიხედვით, არასალიტერატურო მასალა, ძველი ქართული მასალა, სპეციალისტთა შენიშვნები* (ქართული ტერმინთბანკი 2018: 189-198).

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტერმინთბანკი ჯერ ინტერნეტში გამოქვეყნებული არ არის და მხოლოდ შიდაქსელით მუშაობს,

¹ევროპაში ტერმინთბანკის შექმნა და მისი მეშვეობით ტერმინოლოგიური მუშაობის მართვა მრავალი არგუმენტითაა გამართლებული. გათვალისწინებულია ყველა ის დადებითი შედეგი, რომლებიც ტერმინთბანკის შექმნას მოჰყვება, ეს არის: „*ფინანსები* – ტერმინოლოგია დაზოგავს ფულს (დაზოგილი დროის საშუალებით, სწრაფი თარგმანების მეშვეობით და სხვ. *კოდნის გადაცემა* – ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის და სხვ. *განათლება* – სალიტერატურო ენის როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება; *ენის განვითარება* – მშობლიურ ენაზე ტერმინების არსებობა, დარგების განვითარება და სხვ. *სანდოობა* – სიზუსტე, თანმიმდევრულობა, გამჭვირვალობა, სტანდარტიზაცია, ჰარმონიზაცია; *სამართლებრივი* – არასწორი ტერმინოლოგიის სამართლებრივი შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლება“ (ნილსონი 2009).

ის ივსება და ვითარდება. მნიშვნელოვანია, რომ ტერმინთბანკში უკვე შესულია ყველა წლის ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

ცხადია, ამ ყველაფრის გათვალისწინებით იცვლება და სიახლეები შემოდის ტრადიციულ ტერმინოლოგიურ მუშაობაში. ციფრულ ეპოქაში ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირი არც არის, უპირველესად, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, დარგის სპეციალისტებსა და ენათმეცნიერებთან ერთად მუშაობდნენ ტერმინოლოგიურ სტანდარტებსა და პროგრამებში კარგად გარკვეული პროგრამისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართული ტერმინთბანკის საერთაშორისო მიდგომებით მუშაობას. გარდა ამისა, ცვლილებებს მოითხოვს სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვაც, კერძოდ, ქართული ტერმინთბანკის მასალის საბოლოოდ შესაჯამებლად საჭირო ხდება საგანგებო კითხვარების მომზადება ისო 1087 სტანდარტის ე.წ. მისაღებობის მსაზღვრელის მიხედვით (ისო 1087). ერთ ბაზაში თავმოყრილი გასაანალიზებელი მასალა საქმეს აადვილებს, სარედაქციო სამუშაოებს აჩქარებს. ტერმინთბანკიდან ამოღებული თემატური და დარგობრივი მასალა იგზავნება სხვადასხვა კვლევითი თუ სასწავლო ცენტრის სპეციალისტებთან, მასალის სარედაქციო სამუშაოში ჩართულია თითქმის ყველა დარგის მკვლევარი, მეცნიერი, მათ შორის ისინიც, რომელთაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის გრიფით გამოცემულ ლექსიკონებში აქვთ უშუალოდ მონაწილეობა მიღებული. ტერმინთბანკის მასალის გასაანალიზებლად და საბოლოოდ ნორმატიული ფორმის გამოსავლენად დარგის სპეციალისტების პასუხებს, მათ თვალსაზრისებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა კითხვარების შეჯამების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კიდევ რამდენიმე ეტაპია გასავლელი, რასაც გარკვეული ცვლილებები შეაქვს ტერმინოლოგიური განყოფილების მუშაობაში, მაგრამ უმთავრესი მიდგომა, რომელიც ჯერ კიდევ ძველმა ქართველმა მთარგმნელებმა მე-10 საუკუნეში ჩამოაყალიბეს, უცვლელი რჩება. უკვე მზადაა გამოსაქვეყნებლად საკმაოდ დიდი მასალა, რომელსაც, იმედია, მალე იხილავს ქართველი საზოგადოება. აქ მთავარი ისაა, რომ გამოქვეყნებული ტერმინოლოგიური მასალა იქნება არა ერთი ჯგუფის მიერ არჩეული, არამედ დარგის სპეციალისტებისა და ტერმინოლოგების ერთობლივი მუშაობით დადგენილი, შესაბამისად, ასეთი სამეცნიერო მუშაობის შედეგად გამოქვეყნებული მასალა სანდოა და დასაყრდენი. სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ ნორმალიზებული დარგობრივი ტერმინოლოგია საბოლოოდ უნდა დაამ-

ტკიცოს სახელმწიფო სტრუქტურამ, ასეთი სტრუქტურა საქართველოში 2018 წლიდან სახელმწიფო ენის დეპარტამენტია.

ქართული ტერმინთბანკი საბოლოოდ სამი ძირითადი დანიშნულებისთვისაა გამიზნული:

1. *პრაქტიკული* – მთარგმნელი მომებნის სიტყვის შესატყვისის სხვადასხვა ენაზე (ჯერჯერობით ქართული ტერმინთბანკის მასალა სამენოვანია: ქართულ-ინგლისურ-რუსული);
2. *სამეცნიერო* – სამეცნიერო მუშაობისათვის უმნიშვნელოვანესია ქართულ ტერმინთბანკში თავმოყრილი მასალა, კერძოდ, ეს იქნება სხვადასხვა საკითხის შესახებ ლიტერატურის ან ნებისმიერი მახასიათებლის, კერძოდ, ტერმინმწარმოებლების, აგებულების, დარგის, გამოცემებების მიხედვით ტერმინების ძიება, ასევე შესაძლებელი იქნება დაიძებნოს ისტორიული ფორმებიც; ტერმინთბანკში გაერთიანებული იქნება, ასევე, გამოუქვეყნებელი, ტერმინოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული სხდომების ოქმები; თავმოყრილი გამოუქვეყნებელი მასალა მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიის ისტორიის კვლევისათვისაც;
3. *შემეცნებითი* – ქართულ ტერმინთბანკში მომხმარებელი იპოვის სხვადასხვა ტერმინის შექმნის ძალიან საინტერესო ისტორიებს, ტერმინთა ავტორების ვინაობას და სხვა მრავალ შემეცნებითი ხასიათის ინფორმაციას.

ქართული ტერმინთბანკის მასალის გამოქვეყნება შეუძლებელია გამართული ტექნიკური უზრუნველყოფის, სპეციალური უსაფრთხოების სისტემის გარეშე. ქართული ეროვნული ტერმინოლოგიური ტერმინთბანკი ეფუძნება თანამედროვე ტერმინთბანკის სტანდარტებს და, შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა ისეთი პროგრამის შექმნაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ევროპული ტერმინთბანკების მართვის სისტემები¹.

ამ მოცულობის მასალის დამუშავებას დიდი და სწორად გადანაწილებული ძალა სჭირდება. ახლა, როგორც არასდროს, მნიშვნე-

¹ EAFT-ის პრეზიდენტის, ჰენრიკ ნილსონის, რჩევით ქართულად ითარგმნა ორი უმნიშვნელოვანესი სტანდარტი: ტერმინოლოგიის კომპიუტერული პროგრამები – ისო 16642 ტერმინოლოგიური მარკირების სტრუქტურა და ISO 30042:2019(E) ტერმინოლოგიური წყაროების მართვა – ტერმინოლოგიური ბაზების მიმოცვლა (ტბმ) (TBX).

ლოვანია კვლევითი ინსტიტუტის გაძლიერება. ციფრულ ეპოქაში დიდი ბაზების სწორად მართვა სამეცნიერო მუშაობის უწყვეტ განვითარებას მოითხოვს¹.

საბოლოოდ, როგორია ჩვენი ხედვა ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის განვითარებისა და მომავლის შესახებ? ჩვენი აზრით, იმ სამუშაოების გათვალისწინებით, რომლებიც ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიმდინარეობს, მომავალ 10 წელიწადში სწორი ტერმინოლოგიური პოლიტიკის აღსადგენად ყურადღება უნდა გამახვილდეს სამი ძირითადი მიმართულებით:

1. ქართული ტერმინთა ბანკის განვითარებისთვის ხელშეწყობა;
2. სამეცნიერო ტერმინოლოგიის თეორიულ საკითხებზე მუშაობის მხარდაჭერა;
3. ტერმინოლოგიის პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობის განვითარება.

ამისათვის კი რამდენიმე საფეხურია გასავლელი, კერძოდ:

I – ქართული ტერმინთა ბანკის განვითარებისთვის აუცილებელი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

II – ქართულ ტერმინთა ბანკის მასალაზე დაყრდნობით დარგობრივი ტერმინოლოგიის რედაქცია, წელიწადში შესაძლებელია 30 000-40 000 ნორმატიული ტერმინის დადგენა;

III – ქართველი საზოგადოებისათვის ნორმატიული მასალის მიწოდება;

IV – ქართული ტერმინთა ბანკის ნორმატიული მასალის ევროპულ ტერმინოლოგიურ ბაზებთან დაკავშირება;

V – ევროპულ ტერმინოლოგიურ საზოგადოებებთან ურთიერთობა, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების მოწყობა, ჟურნალ „ტერმინოლოგიის საკითხების“ გამოცემა;

VI – უნივერსიტეტების ჩართვა ქართული ტერმინთა ბანკის განვითარებაში;

VII – ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადება, ტერმინოლოგიურ (სამეცნიერო და პრაქტიკულ) მუშაობაში ჩართვა;

¹ საერთაშორისო საინფორმაციო ტერმინოლოგიური მეთვალყურეობის საბჭოს (Infoterm) დირექტორმა ქრისტიან გალინსკიმ ბაზები, რომლებსაც არა აქვთ ზოგადი მიდგომა და არ ვითარდება, მონაცემთა სასაფლაოებს შეადარა. იხ <http://termbank.ge/christian-galinsky-director-international-information-centre-for-terminology/?lang=en>

ნორმატიულ ლექსიკონებზე ქართველ საზოგადოებაში დიდი მოთხოვნაა. ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა და გამოცემა დიდი პასუხისმგებლობაა. რამდენად დააკმაყოფილებს ის თანამედროვეობის მოთხოვნას, ამას დრო და საზოგადოებრივი აზრი აჩვენებს. 1977 წელს გამოცემულ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს დღემდე სამაგიდო წიგნს უწოდებენ ახალგაზრდა სპეციალისტებიც კი, ეს კი თავისთავად ორ მნიშვნელოვან ფაქტზე მეტყველებს: ერთი, რომ ძველი თაობის მიერ შექმნილმა ლექსიკონმა თაობები გაზარდა და მეორე: დიდი ხანია, დროა, ეს სამაგიდო წიგნი განახლდეს და შეივსოს. ის, რომ 21-ე საუკუნეში არა გვაქვს გამართული ქართული ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონები, მხოლოდ *შეუთანხმებელი მუშაობის* შედეგია, რაც უნდა დამლიოს თანამედროვე ქართველმა სამეცნიერო საზოგადოებამ და მომავალ თაობებს დაუტოვოს გამართული, მოწესრიგებული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები – ერის განვითარების უტყუარი საზომი ყველა ეპოქაში.

სწორი მართვა, გონივრული ღონისძიებები, ზოგადად, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის კულტურა საზოგადოებაში და მართვაში – ეს არ არის მხოლოდ სახელმწიფო მართვის პრინციპი, იგივეა საჭირო სწორი ტერმინოლოგიური მუშაობისათვის ქვეყანაში. და ამას ცხადად აჩვენებს ქართული ენისა და ტერმინოლოგიის ისტორიაც, „ისწავლეთ სხვა ქვეყნების გამოცდილება და მათ შორის გაითვალისწინეთ სხვათა შეცდომები“, – წერია „ტერმინოლოგიური პოლიტიკის მართვის სახელმძღვანელოში“. ტრადიციის გათვალისწინება და თანამედროვე ევროპული გამოცდილება – ეს არის სწორი ტერმინოლოგიური პოლიტიკის ერთადერთი გზა. დღეს რესურსების ფლანგვის არც დრო გვაქვს და არც უფლება.

სახელმწიფოებრივი სამოქმედო გეგმა, სტრატეგია, უნდა დაეფუძნოს არსებულ ვითარებასა და ქვეყნის შესაძლებლობებს. სწორი ტერმინოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრებლად უმნიშვნელოვანესია გამართული ტერმინოლოგიური მოწყობა (ინფრასტრუქტურა) და ეს საქართველოში თავიდან შესაქმნელი არ არის, კვლევითი ინსტიტუტში ტერმინოლოგიური განყოფილების შენარჩუნებამ თავისთავად გადაარჩინა უმთავრესი: სწორი ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპები, სამეცნიერო ტერმინოლოგიური მუშაობის მეთოდика, შესაბამისად, ტერმინოლოგიური მუშაობის მომავალიც სწორედ რომ ამ ინსტიტუციური კვლევებისა და პრაქტიკული ტერმინოლოგიური მუშაობის გამოცდილებას უნდა დაეყრდნოს.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორი ტერმინოლოგიური მუშაობის დამკვიდრებაა საქართველოში, რაც გონივრულად დაგეგმვის შემთხვევაში ადვილად მისაღწევია იმ ქვეყანაში, სადაც ტერმინოლოგიურ საკითხებზე თეორიული და პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება არსებობს.

ლიტერატურა

არაბული 2016 – ავთანდილ არაბული, ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, ტერმინოლოგიის საკითხები, თბილისი. [კრებულები – TermBank](#)

აუკსორიუტე, მანჯგალაძე 2018 – ალბინა აუკსორიუტე, მარიამ მანჯგალაძე ენობრივი პოლიტიკა ლიტვაში (გამოცდილება და პერსპექტივა), ტერმინოლოგიის საკითხები, III, თბილისი. [კრებულები – TermBank](#)

ბერიძე 1952 – ვუკოლ ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, მეცნიერება და ტექნიკა, N7, თბილისი.

ისო 1087 – ტერმინოლოგიური მუშაობა და ტერმინოლოგიური მეცნიერება — ლექსიკონი. [ISO 1087:2019 - Terminology work and terminology science — Vocabulary](#)

ნილსონი 2009 – Henrik Nilsson, The realisation of a national term bank – how and why? ELETO –7th Conference "Hellenic Language and Terminology", Athens, Greece, 22-24 October.

[Microsoft Word- 7th 26-26-NilssonHenrik Paper V03.doc \(eleto.gr\)](#)

სახელმძღვანელო 2005 – ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო, ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და ენობრივ საზოგადოებაში დანერგვა, მოამზადა ტერმინოლოგიის საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრმა (Infoterm), პარიზი, 2005, ქართულად თარგმნა პროფ. ზაალ კიკვიძემ, 2020, თბილისი [TermPolGuidelinesGeorgian 2021.pdf \(infoterm.info\)](#)

სიტყვარი 2020 – პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, ახალი გამოცემა მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ლია ქაროსანიძემ, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი.

სოფლის მეურნეობა 1959 – სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია (სარედაქციო კოლეგია: ნ. კეცხოველი (მთ. რედაქტორი), თ. გონიაშვილი, ალ. მაყაშვილი, რ. ღამბაშიძე (რედაქტორი), დ. აგლაძე,

ი. ლომოური (კოლეგიის წევრები), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

სტრუნა 2007 – Bratanić, Maja; Ostroški Anić, Ana, The Croatian National Termbank Struna A New Platform for Terminological Work? https://www.academia.edu/5628939/Bratani%C4%87_Maja_Ostro%C5%A1ki_Ani%C4%87

სხირტლაძე 2018 – ნინო სხირტლაძე, ტრადოსი – ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა, ტერმინოლოგიის საკითხები, III, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, [მასალები-ქართული.pdf \(ice.ge\)](#)

ტერმინთმემოქმედება 2018 – ლია ქაროსანიძე, ანა ხურცილავა, ქართული ტერმინთმემოქმედების პრობლემები (ისტორია და თანამედროვეობა), წიგნი ქართულ და ინგლისურ ენებზე (თანაავტორი ანა ხურცილავა), თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი.

ქართული ტერმინთბანკი 2018 – ლია ქაროსანიძე, ემზარ ჯგერენაია, ირაკლი უჯმაჯურიძე, ელექტრონული რესურსები ქართული ტერმინოლოგიის კორპუსისათვის, “ტერმინოლოგიის საკითხები“, (ISSN 1987-7633), თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი.

ქაროსანიძე 2018-2022 – ტერმინოლოგია და სახელმწიფოებრივი აზროვნება (თანაავტორები - ინგა ჯიბუტი, ანა ხურცილავა), საერთაშორისო კონფერენცია „ტერმინოლოგია - ისტორია და თანამედროვეობა“, 2018, თბილისი, [მასალები-ქართული.pdf \(ice.ge\)](#); ქართული ტერმინთმემოქმედება - წარსული და თანამედროვეობა – ტერმინოლოგია საერთაშორისო სამიტი (თანამომხსენებელი – ანა ხურცილავა), სან სებასტიანი, ესპანეთი, 2018 (ინგლ.ენაზე); ქართული ტერმინთბანკი - შექმნის ისტორია და სამომავლო პერსპექტივები, მე-3 საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგიაში, ვილნიუსი, ლიეტუვა, 2019 (ინგლ.ენაზე); [Conference-programme.-The-3rd-international-conference-on-terminology.pdf \(lki.lt\)](#); ქართული ტერმინოლოგიური მუშაობა, მე-12 საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგიაში, ათენი, საბერძნეთი, 2019 (ინგლ.ენაზე); [Microsoft Word - 27-06-29 KarosanidzeLia Paper1 V03.doc \(eieto.gr\)](#); ქართული ენა და ციფრული სამყარო, საერთაშორისო ტერმინოლოგიური სამიტი, დუბლინი, ირლანდია, 2021 (ინგლ.ენაზე); ქართული ტერმინთბანკი - საბჭოთა - პოსტსაბჭოთა ქართული ტერმინოლოგიური პრობლემების მოგვარების გზა (ინგლ. ენაზე), საერთაშორისო კონფერენცია „სამეცნიერო

ტერმინოლოგია და ტექნოლოგიების განვითარება“ (TSTD 2022), მონ-
ლოლეთი, 2022, (ინგლ.ენაზე).

ქაროსანიძე 2014 – ლია ქაროსანიძე, ტერმინოლოგია – ქართუ-
ლი ენის ხვალისდელი დღე, კრებული „ტერმინოლოგიის საკითხები“,
I, თბილისი,

ქაროსანიძე 2019 – X-XI საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა
ტერმინოლოგიური პრინციპები, ლექსების ენის ინსტიტუტის ღია
წვდომის ჟურნალი, <http://journals.lki.lt/doi.org/10.35321>

ხურცილავა 2016 – ანა ხურცილავა, თანამედროვე ქართული სა-
ბანკო ტერმინოლოგიის პრობლემები, ტერმინოლოგიის საკითხები,
II, თბილისი.

Lia Karosanidze

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia

L.karosanidze@gmail.com

Keywords: Term Bank, Terminological Policy, Standardization,
Normalization.

Georgian Term Bank (GTB) and Terminological Policy in Georgia

Summary

Studies of the history of Georgian terminology work, analyses of
successes and failures in term-making at various periods of time, con-
sideration of a difficult terminological situation in present-day Georgia,
collaboration with European terminological associations, challenges of
the digital era have demonstrated the necessity for significant changes
and setting distinct plans in Georgian terminology work. How to cope
with terminological problems of either Soviet or post-Soviet times being
increased by present-day ones? This is a principal question needing an
argumentative, scholarly answer. As a result of the study of the current

situation in Georgia and of comparison with European terminological standards, the following were identified:

1. Some of the Georgian special glossaries just need editing (Georgian-English terminological glossaries published after 2000);

2. In some domains, Georgian-English equivalents have to be established (as far as glossaries compiled in the Soviet period were predominantly Georgian-Russian and Russian-Georgian);

3. Other glossaries have to be re-compiled (this is particularly true of glossaries of recently developed domains violating various standards of terminological lexicography; such a domain is, for instance, banking terminology; violations were identified as a result of the study of textbooks of banking).

The solution to the aforementioned problems is instrumental for the standardization of special terminological glossaries in Georgia. Either Soviet or current terminological problems will not be solved without having analyzed Georgian terminological data, and this is accelerated by the study of the term bank, an aggregated database of Georgian paper glossaries. Eventually, the detection of all equivalents (synonyms, incorrect forms) and the identification of conventionalized variants will make a foundation for the standardization of terms. Truly enough, consideration of the aforementioned cause changes and introduction of innovations in traditional terminology work. Of course, it is no surprise in the digital era. It is of primary importance and necessary for specialists of various domains and linguists to work jointly with software developers well aware of terminological standards and related technologies, providing for the operation of the Georgian Term Bank with international principles.

Besides, changes are to be introduced in scientific work; specifically, in order to finally collate data from the Georgian Term Bank, it is necessary to develop special questionnaires, based on ISO 1087, with respect to the acceptability rating. Responses and views of specialists of various domains are of tantamount significance; however, following the collation of questionnaires, there still are several stages before making a final decision, introducing certain changes in the activities of a terminological department, though the most principal

approach, being established by ancient Georgian translators back in the 10th century, is still unchanged. One of the priorities of the state language strategy is to ensure adequate terminology work in Georgia which, in case of reasonable planning, can be easily accomplished in a country with a long-lasting experience of theoretical and practical work on terminological problems.